

ლოესნუმი

გაზეთი გამოდის
1988 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-კულტურული გაზეთი

№ 89 (6466) 25 ივლისი ხუთშაბათი 1991 წელი ფასი 5 კაპიკი

საქართველო: თავისუფლების გზით (რესპუბლიკის სსოპრების ქრონიკები)

მოსკოვში და უცხოეთის ჟურნალისტების დიდი ინტერესი გამოიწვია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას პრესკონფერენციამ, რომელიც ამას წინათ გაიმართა მოსკოვში.

პრესკონფერენციაზე ბატონმა ზვიად გამსახურდიამ დიდად შეაფასა ყაზახეთის პრეზიდენტის ნ. ნაზარბაევის ინიციატივა—მოაწვიონ ყველა რესპუბლიკის წარმომადგენელთა შეხვედრა დამოუკიდებლად იმისა, სურთ თუ არა ხელი მოაწერონ საქავშირო ხელშეკრულებას. შეხვედრაზე აუცილებლად იქნება ჩვენი წარმომადგენელი, ხოლო ცენტრი, როგორც თანამოქმედების შექმნის მიზნით, ჩვენ არ გვკვირდება.

კითხვაზე, შესაძლებელია თუ არა ცენტრის სამხედრო ჩარევა რესპუბლიკის საქმეებში, ზ. გამსახურდიამ უარყოფითად უპასუხა. ეს შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ მთავრობის გადატრიალების და ხელისუფლების სათავეში „სიოუ-ზის“ გადგომის წარმომადგენელთა მოხელის შემთხვევაში.

„როსიისკაია გაზეტას“ კორესპონდენტის კითხვის პასუხად ზ. გამსახურდიამ თქვა, რომ რესპუბლიკის სურვილი დაამყაროს პირდაპირი ურთიერთობა რუსეთთან, უცვლელია პრეზიდენტ ბ. ელცინთან განზრახვების შესახებ ოქმის ხელმოწერის დროიდან. ზ. გამსახურდიამ განაცხადა, რომ საქართველო მზად არის ითანამშრომლოს ნებისმიერ მოკავშირე და საზღვარგარეთის სახელმწიფოსთან.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ მიმართვა გაუგავნა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატებს.

საქართველოს რესპუბლიკის საწარმოებსა და ორგანიზაციას დაწესებულებებში მიმდინარეობს რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ კანონპროექტის განხილვა. ხალხი გამოთქვამს შენიშვნებსა და წინადადებებს ამ დოკუმენტის კიდევ უფრო დახვეწის მიზნით.

სულ უფრო უმჯობესდება ჩვენი რესპუბლიკის კავშირებით-ერთობანი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან. ამას წინათ საფრანგეთში იმყოფებოდა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაცია, რომელიც მიწვეული იყო „ქართული სახლის“ გახსნაზე. ეს სახლი პარიზის საქალაქო ცნობილ რაიონშია. მას აქვს პატარა რესტორანი, რომელიც ქართული კერძებით გაუმსახინდლებს მსურველებს. პარიზის „ქართულ სახლში“ განხორციელდება ყველა სახის კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობები, რასაც საქართველოს მხრიდან კოორდინაციას გაუწევს საგარეო საქმეთა სამინისტრო, რომელიც ითვლება ამ სახლის საპატიო კომიტეტის წევრად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ მიმართვა გაუგავნა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატებს.

საქართველოს რესპუბლიკის საწარმოებსა და ორგანიზაციას დაწესებულებებში მიმდინარეობს რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ კანონპროექტის განხილვა. ხალხი გამოთქვამს შენიშვნებსა და წინადადებებს ამ დოკუმენტის კიდევ უფრო დახვეწის მიზნით.

სულ უფრო უმჯობესდება ჩვენი რესპუბლიკის კავშირებით-ერთობანი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან. ამას წინათ საფრანგეთში იმყოფებოდა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაცია, რომელიც მიწვეული იყო „ქართული სახლის“ გახსნაზე. ეს სახლი პარიზის საქალაქო ცნობილ რაიონშია. მას აქვს პატარა რესტორანი, რომელიც ქართული კერძებით გაუმსახინდლებს მსურველებს. პარიზის „ქართულ სახლში“ განხორციელდება ყველა სახის კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობები, რასაც საქართველოს მხრიდან კოორდინაციას გაუწევს საგარეო საქმეთა სამინისტრო, რომელიც ითვლება ამ სახლის საპატიო კომიტეტის წევრად.

დასკვნითი ეტაპი

აბრეშუმის პარკის დამზადების ისტორია ლეჩხუმში და ის ტრადიციები, რაც ამ დარგში ჩვენს წინაპრებს გააჩნდათ, გვკარნახობს, რომ ყველა ღონე უნდა ვისმართო, ის რეზერვები და შესაძლებლობები, რაც კი გაგვანია, მაქსიმალურად გამოვიყენოთ, რომ მეაბრეშუმეობამ, ჩვენი ეკონომიკისათვის ამ მეტად სასარგებლო დარგმა, დაიბრუნოს თავისი დაკარგული ტრადიციები. რისთვისაც მეაბრეშუმეთა მეტად დაინტერესებდა, მათი მოთხოვნებისადმი ყურადღება, სპეციალისტთა ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება აუცილებელია. მეაბრეშუმეთა სეზონი დასასრულს უახლოვდება. დამამზადებელი პუნქტების აკენ უკვე კანტი-კუნტად მოდიან პარკით დატვირთული ადამიანები და შედეგი ასეთია: დღეისათვის რაიონის მეაბრეშუმეებს 18 ტონა პარკი აქვთ სახელმწიფოსათვის მიყიდული.

თვის მიყიდული. ამგვარად ჩვენი გაზეთის მკითხველებს ზუგელ დასკვნითი ეტაპი ზუგელ დასკვნითი ეტაპი ლიანმა ცოდნა და შესაძლებლობა არ დაიშურა და ცაგერის მიმღებ პუნქტს 56,7 კილოგრამი აბრეშუმის პარკი ჩააბარა, მესმა თანასოფლელებმა მაგული ჩავეტაქემ და კლარა ლიპარტი-ლიანმა შესაბამისად 25-28 კილოგრამი. შარშანდელთან შედარებით სოფელ ჟუგურში მეტი მიაბრეშუმე ჩაება აბრეშუმის პარკის წარმოების საქმეში და მოსავალიც მოიწიეს. ფატი მამარ-დაშვილს და თინა უგრეხელიძეს აბრეშუმის ჭიების მოვლის ცოდნაც აქვთ და გამოცდილებაც. ამიტომ იყო, რომ ერთმა 38, მეორემ კი 34 კილოგრამი აბრეშუმის პარკი მიუწონა მიმღებ პუნქტს. იაქტიურეს, დაუზარებლად გაისარჯნენ და აბრეშუმის პარკის კარგი მოსავალი მიიღეს ასევე გუ-ლნაზი მუშაუდინამ, ნუცა ქომეთიანამ, თაილი არჯევანიძემ, იაშა და სერგო მამარ-დაშვილებმა და ბევრმა სხვამ.

ღმერთმა სიხარულიანი დღეები

მიიწურა აბრეშუმის პარკის დამზადების სეზონი. სახელდებულ მეაბრეშუმე ქალებს გული სტიკავთ, რომ ერთეულთა წარმატებამ ვერ უშველა საქმეს, დავალების შესრულება ეჭვს ქვეშაა. თავად კი ნამუსიანად გაისარჯა, მთელი ოჯახი ამოიყენა გვერდით და სხვა უამრავ საზრუნავთან ერთად აბრეშუმის ჭიასაც გააწვდინა გულის ერთგულება. სმირად ეტყვიან ორბელელ ნათელა გურგულიანს, როგორ ასწრებ—აქეთ ბოსტანი, ძროხა და ფრინველი, ყანა თუ ვაზი, გულითადი გაწამ-

აწია რომაა, აბრეშუმის ჭიაც მაშინაა მისახელი, მაგრამ, თუ არ გაისარჯე, ისე არც სიხარული მოვა და არც ბარაქა. მით უფრო, როცა მისთვის შრომა სიამოვნება, სიხარულია და იმედია. ახლა სოფლად ცოტა მიწ-ყნარდა საქმე, მუხლი შეაყვინა მეურნემ. ნათელა თი-ფქოს არც დადლილა: ვენა-ნიც რომ ჯიქანსავსება და ყანაც ლურჯად მობობინე, აბრეშუმის ჭიამაც არ დაწყვი-და გული—39 კილოგრამი მოიწია, აქედან ანაზღაურება ათას მანეთზე მეტია. დაბალი მოდია 3-4 კვირაში შრომის ასეთი ანაზღაურება. ასეა, ღმერთმა მისცეს შრომელ ქალს სიხარულიანი დღეები.

ს ა გ დ კ ა რ ბ ა რ ე თ

„დიდი შვიდეულის“ შეხვედრა

ლონდონში მიმდინარე „დიდი შვიდეულის“ შეხვედრის ფარგლებში გამართულ მოლაპარაკებაზე ფორუმის მონაწილეებმა განიხილეს საბჭოთა ეკონომიკაში საქმის მდგომარეობის სხვადასხვა ასპექტი: ენერგეტიკის და გარემოს დაცვის საკითხები, გაუმჯობესებული მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პერსპექტივები. განიხილეს აგრეთვე სსრ კავშირში სურსათის განაწილება, ასთან დაკავშირებული პრობლემები, გაიმართა დისკუსიები იმის შესახებ, თუ როგორია საბჭოთა კავშირთან დასავლეთის სახელმწიფოთა ტექნიკური თან-

ამშრომლობის შესაძლებლობანი. მაგრამ საბჭოთა ეკონომიკაში სახელმწიფო ინვესტიციებზე ლაპარაკი არ ყოფილა. ეს საკუთრივ კორესპონდენტის კითხვის პასუხად განაცხადა დიდი ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრმა ჯონ მანდემსონმა, რომელმაც სამშაბათს ბრიტანეთის გაზეთში შეხვედრის პრესცენტრში. მან განაცხადა თქვა, რომ წამყვანმა ინდუსტრიულმა ქვეყნებმა მოილაპარაკეს მხარი დაუჭირონ სსრ კავშირისათვის საერთაშორისო სავალუტო ფონდში და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკში

ასოცირებული წევრის სტატუსის მიანიჭებას. მაგრამ უარი თქვა ეპასუხა მეორე კითხვაზე—იმის შესახებ, თუ რა როლს კისრულობენ „დიდი შვიდეულის“ წევრი ქვეყნები სსრ კავშირში ეკონომიკური რეფორმებისათვის დახმარების გაწევის გეგმებში, და განაცხადა, რომ ჟურნალისტთა ინტერესი უნდა დააკმაყოფილოს პრესკონფერენციაზე დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ჯონ მეიჯორმა. როგორც ნ. ლემონტმა თქვა, ფორუმის მონაწილეებმა „უდიდესი დრო დაუთმეს საბჭოთა კავშირში ეკონომიკური სიტუაცი-

ის განხილვას“ და დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მოლაპარაკებას სსრ კავშირის პრეზიდენტთან მ. ს. გორბაჩოვთან, რადგან მოლაპარაკება საშუალებას შექმნის შედარონ მხარეთა თვალსაზრისი ფართო წრის საკითხებზე. მისი თქმით, საბჭოთა ეკონომიკის ყველაზე მწვავე პრობლემად წამყვან ინდუსტრიულ ქვეყნებს მიაჩნიათ შემდეგი: მთლიანი-საშინაო პროდუქტის შემცირება, ინფლაციის ზრდა, ბიუჯეტის დეფიციტი და განუზომლად დიდი სამხედრო ხარჯები. მინისტრმა საქმოდ მიიჩნია განცხადებანი: „პრინციპული პასუხისმგებლობა საბჭოთა ეკონომიკაში საქმის მდგომარეობისათვის ეკისრება თვით საბჭოთა კავშირს, და პრეზიდენტმა გორბაჩოვმა იცის ეს“.

გასწორება

ჩვენი გაზეთის 23 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში—„პრეფექტის ანგარიშზე“—დაშვებულია უზუსტობა, პირველი აზრის დასასრულს წერია „პრეფექტის ანგარიშზე ჩარიცხული თანხა გამოიყენება იმ ოჯახების დასახმარებლად, ვინც სტიქიამ დაზარალა“, რაც არასწორია. პრეფექტის ანგარიშზე ჩარიცხული თანხა მოხმარდება რაიონის სოციალ-ეკონომიკურ განვითარებას, დაზარალებულ ოჯახებზე მატერიალური დახმარება გაიცემა მთავრობის განკარგულებათა შესაბამისად.

განმარტებაში კანონმდებლობა

კანონმდებლობა საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ, ფიქრობს, დოკუმენტია, რომელსაც ინტერესით და გულსაყურით ელოდა არა მარტო ყველა ქართველი, არამედ საქართველოში მცხოვრები ყველა ერის წარმომადგენელი.

ვიწონებ კანონმდებლობის იმ

კანონი, რომელსაც მივიღებთ მოქალაქეობის შესახებ, კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ქართული ერის სიწმინდეს, ქართული ცის ქვეშ მცხოვრები ყოველი არაქართველის საქართველოსადმი პატი-

ლი საკითხი, მიწა გლეხისთვის მთავარია, სოფლის ძლიერების ძარღვია, დოვლათი და სიხარული. ამიტომ, ისეთი კანონი უნდა მივიღოთ, არც მიწის მარჩენალი დავტოვოთ დაზარალებული და არც სახელმწიფო.

მაქვს ერთი შენიშვნა საქართველოს მოქალაქეობის ვადის შესახებ. საქართველოში ცხოვრების სავალდებულო წლები დოგმა არ უნდა იყოს, თუ საქართველოში მცხოვრები არაქართველი გულითა და სულითაა დაკავშირებული საქართველოსთან, იბრძვის მისი უკეთესი მერმისისათვის, ეს ვლინდება მის პიროვნებასა და საქმეში და ამას თვალნათლივ ხედავს საზოგადოება, მისთვის არ უნდა დავიშუროთ მოქალაქეობა, ხოლო ვისაც ეს ყოველივე არ სურს, შეიძლება მთელი ცხოვრება გაატაროს, მაგრამ ვერ მოერგოს ჩვენს წრეებს, ხასიათს, მიზნებს.

პროექტი დღენიადავ საკითხავ-დასაფიქრებელია, ყველამ ერთად უნდა გადავხიწოთ და ისეთი კანონი მივიღოთ, საქართველოს, მის ზღაღებს რომ გამოადგება.

ბ. გუგაშვილი

ყურადღება!

საშემოსავლო

ბაღასახალსა და

სამიწკინებო

ანაგზაურებაში

სიხალსებაში

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1991 წლის 25 ივნისის ბრძანებით სსრ კავშირის მოქალაქეებზე ვრცელდება შეღავათები საშემოსავლო გადასახადებში, ეკონომიკური კრიზისის დღევანდელ პირობებში ამ დადგენილებას კეთილგანწყობით შეხვდა მოსახლეობა. ამიტომ გვინდა იცოდეს მკითხველმა, რა კონკრეტული შეღავათები იქნება მათზე გათვალისწინებული, წერითი გასამრჩელოსა და მასთან გათანაბრებული შემოსავლის დაბეგვრის რა განაკვეთები იქნება.

სსრ კავშირის მოქალაქეთა, უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საშემოსავლო გადასახადებში ცვლილებები ასე იკვეთება:

161-დან 1000 მანეთამდე იკვეთება იმ თანხის 12 პროცენტი, რაც აღემატება 160 მანეთს.
1001-დან 2000 მანეთამდე—100 მანეთი და 80 კაპიკი, პლუს 15 პროცენტი იმ თანხისა, რაც აღემატება 1000 მანეთს.
2001-დან 3000 მანეთამდე—250 მანეთი და 80 კაპიკი, პლუს 20 პროცენტი იმ თანხისა, რაც აღემატება 2000 მანეთს.
3001 მანეთიდან ზევით—450 მანეთი და 80 კაპიკი, პლუს 30 პროცენტი თანხისა, რაც აღემატება 3000 მანეთს.
არაპირდაპირ საშუალო ადგილზე ერთგვარად საშუალოების შესრულებისათვის მიღებული შემოსავლისა და სხვა განაკვეთების დაბეგვრა განისაზღვრება თვიური გასამრჩელოდან:

5-დან 10 მანეთამდე—შემოსავლის თანხის 2 პროცენტი, 11-დან 30 მანეთამდე—20 კაპიკი, პლუს 3 პროცენტი თანხისა, რაც აღემატება 10 მანეთს, 31-დან 50 მანეთამდე—80 კაპიკი, პლუს

5 პროცენტი თანხისა, რაც აღემატება 30 მანეთს, 51-დან 100 მანეთამდე—1 მანეთსა და 80 კაპიკი, პლუს 10 პროცენტი თანხისა, რაც აღემატება 100 მანეთს, 101-დან 200 მანეთამდე—4 მანეთსა და 80 კაპიკი, პლუს 9 პროცენტი იმ თანხისა, რაც აღემატება 100 მანეთს, 201-დან 300 მანეთამდე—40 მანეთსა და 80 კაპიკი, პლუს 12 პროცენტი თანხისა, რაც აღემატება 500 მანეთს, 301-დან ზევით უნდა ისარგებლოთ ძირითად სამუშაო ადგილზე განაკვეთების დაქვითვის ცხრილით.

ცნობისთვის: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 17 სექტემბრის დადგენილებით, არაპირდაპირ საშუალო ადგილზე მოწყობისას მოქალაქე ვალდებული არაა ცნობა წარმოადგინონ ძირითადი სამუშაო ადგილიდან ცნობის გარეშე შეთავსებით სამუშაოზე მიღება აკრძალულია.

ცვლილებებია სამიწკინებო ანაგზაურების საქმეშიც. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს 1991 წლის 24 აპრილის განკარგულებით დადგინდა მუშაკთა სამსახურებრივ მივლინებაში გაგზავნისას საცხოვრებელი ბინის დაქირავებისა და დღიური ხარჯებისათვის დანახარჯების ერთიანი ნორმები დამატებითი ბედი საბუთების წარმოდგენის გარეშე შეგდები ოდენობით: ქ. თბილისში, ავტონომიური რესპუბლიკების დედაქალაქებსა და რესპუბლიკური დაქვემდებარებაში ქალაქებში—25 მანეთი, რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში—20 მანეთი. ტრანსპორტირების ღირებულება რჩება ძველი ინსტრუქციის მიხედვით.

დამატებითი დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია სამიწკინებო ხარჯების კომპენსაციის აღნიშნული წესის შემოღებასთან, საბუთებო ორგანიზაციების მიერ მიმდინარე წელს გაწეულ უნდა იქნეს ამ დაწინაურებებით 1991 წელს გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში.

ცვლილებებს საშემოსავლო გადასახადსა და სამიწკინებო ხარჯებში კარგად უნდა ჩაწვდნენ საწარმო-ორგანიზაციითა ხელმძღვანელები, ბუღალტრები, მუშა-მოსამსახურეები, რათა სწორად განეხორციელოთ პრაქტიკაში.

სახელმწიფო საგადასახადო ინსპექცია ცაბარის რაიონში.

გულსაყურით

გადასინჯოთ

ნაწილს, სადაც ქართული ერის საკითხია წინა პლანზე წამოწეული. გავიხსენოთ რა იყო გუშინ—საწარმო-ორგანიზაციები რუსულ ენაზე მუშაობდნენ, სატელევიზიო გადაცემები ძირითადად რუსულენოვანი იყო, ნუ ეწყინება ბევრი ინტელიგენციის ოჯახს, რუსულ სკოლებში რომ აბარებდნენ შეილებს, ოჯახშიც რუსულად საუბრობდნენ, ისიც კარგად გვახსოვს ტრანსპორტში, სავაჭრო ობიექტებში თუ სხვაგან რუსულად მიმდინარეობდა საუბარი და ზოგიერთი ქართველი, რომელმაც არ იცოდა ენა, სასაცილო მდგომარეობაში ვარდებოდა.

დღეს ვითარება შეიცვალა.

ვისცემასა და რიღს. მიწის კანონი, ჩემის აზრით, ორგანულად უნდა შეერწყას მოქალაქეობის კანონს, ამ კუთხით ვფიქრობ, დიდი სიფრთხილეა საჭირო, რესპუბლიკის მთავრობა ცდილობს დიდი წინდახედულობით მიიღოს ეს კანონი, რადგან მიწის საკითხი ყველაზე მტკივნეულია, როგორც კი მოქალაქეობის შესახებ კანონმდებლობა კანონად მიიღება, ამას მიწის კანონიც უნდა მოჰყვეს. ახლა სოფლად განუკითხავი მდგომარეობაა, ერთი მხრივ მიწისთვის ძმა არ ზოგავს ძმას, ამიტომ დროულად უნდა მოვაწესრიგოთ საქართველოსთვის ყველაზე სისხლხორცეუ-

რეგონანსი

რაიონული გაზეთის 11 ივლისის ნომერში წავეითებ რუბენ ბაქრაძის წერილი სათაურით „სასწრაფო მოსაგვარებელია“, რამაც ძალიან მატიანა გული.

1969 წელს რ. ბაქრაძე სხვა პირებთან ერთად, როცა მე ფერმის გამგედ ვმუშაობდი, ახალქალის ტერიტორიაზე ფერმაში

თქვენი სოფელი კი, ბატონო რუბენ, სარგებლობს საძოვრად ზედა ლუხვანოს 30 ჰექტარ ფართობს, ქალისთავის უბანი 13 ჰექტარს, გვესო—10 ჰექტარს, ახლა კი პატარა მიწის ნაკვეთზე გვედავებით. ქვეყნად ზომ ყველაფერი აღამიანებისთვის არსებობს, ვის უნახავს პირუტყვი მომრავლდეს და აღამიანები უჭმელი გაწყდეს. ისიც კარგად უნდა იცოდეთ, რომ ზედა ლუხვანოში მცხოვრებლებს ძალიან

ჩვენზე უნდა წამოვწიოთ. მთავრობასაც პირიქით უნდა დავებმართო. 7 თვეა ჩვენთან პური არ გაყიდულა. აბა, თუ ვინმე შეგვიწუხებდა, თქვენთან კი ცაგერიდან ქალისთავამდე აკილო-მეტრზე ა შერეული მაღაზია და პურის კიოსკია. აბა, თუ გიფიქრიათ ლუხვანოზე, უჭირს თუ ულხინს, მარტო მაშინ არ უნდა გვახსოვდეს ერთმანეთი, როცა პირისპირ ვართ.

ერთი-ორი თვის წინ გაზეთით მთელ რაიონს ამცნე, რომ ცაგერში თემს აუალიბებდით სა-

თუ გული გულობს, მტყუან - მართალი გაირკვევა

იყო შემოწმებაზე. რ. ბაქრაძე ლუხვანოზე თქვა: „ეს პატარა სოფელი ჩემი აკანია, ჩემი ლუხვანო, სადაც მე ფეხი ავიდგი. ათეული წლებია ცაგერში ვცხოვრობ, მაგრამ სულით და გულით ჩემს ლამაზ ლუხვანოში ვარ, მხოლოდ ლეში ვარ ცაგერში. ყოველთვის ვისურვებ ჩემი ლუხვანო ლამაზი და ღონიერი იყოს“. მე იმ წუთში ვიფიქრე, ეს ჩვენი გულის მოსაგები სიტყვების კორანტელი იყო. ეს ნაფიქრალი არავისთვის მითქვამს, მაგრამ 20-21 წლის შემდეგ ახლა, მაშინ რაც ვიფიქრე.

ჩვენ, ზედა ლუხვანოელებს სოფლიდან ძალით არავინ გადაგვისახლებია. ყველამ უკეთესი და ცენტრთან ახლოს ცხოვრება არჩია. არც არავის სამოსახლო არ დამეწყრილა 1990 წლამდე. ცაგერში ჩასახლებული ოცი ოჯახიდან 12-ს ნაყიდი აქვს სახლ-კარი, 8 ოჯახს კი კოლმეურნეობიდან აქვს მიცემული სა-მოსახლო. თითოეულს 800 კვადრატული მეტრის რაოდენობით.

ბევრს ჰქონდათ მიწები ქალის ტერიტორიაზე, მაგრამ კოლექტივიზაციის დროს ცაგერის კოლმეურნეობას დარჩა. მკითხველებს აცნობთ, თითქმის თქვენ უშუალოდ დამეწყრილებს და დაი-სახლეთ თქვენთან. ისინი ქვედა ლუხვანოელები არიან, რომლებსაც ჩვენი სოფლები რომ შეერთდნენ კოლმეურნეობაში, 4 ჰექტარი მიწა ჰქონდათ აეროპორტის ბოლოს და ახლა კი 2 ჰექტარიც არ უკავიათ.

ის არ გიფიქრიათ, რომ ცხენისწყალი კარზე მოგაღდათ და ორი ჭებირი გაგეყეთებიათ და ნახევარი ქალა წყალს არ წაიღო.

როცა საქართველოს ასე უჭირს, არ ინდობს არც სტიქია, არც კაცო არც ღმერთი, ოსები ქართველთა სისხლს სვამენ, არც სხვა რეგიონებში არის სიწყნარე. საქვეყნოდ აცხადებ და პრესით მთელს რაიონს ამცნობ პირუტყვის გაძღომისათვის მკვლელობა მოხდებაო.

ზღვრებზე დიდ ამბავს იყავით, კრებაც კი მოიწვიეთ. ვის უნახავს ქალაქში თემი. თემი ჰქვია ლუხვანოსნაირ დასახლებას და უნდა გვაყავდეს თავკაცი და არა იქ, სადაც რაიონის ხელმძღვანელობა თავზე გადგათ.

იმასაც წერთ, თითქმის ისე დადარბინდნენ ზედა ლუხვანოელები, თქვენ თუ 10-15 მანეთი არ გამოგაძლეს, ისე უჭმელები არიან.

დღეიდანვე ვეცდებით ჩვენი ტერიტორიის შემოსაქვედელი მასალა მოვაშალოთ და მომავალი წლის 1 მაისისათვის შეკავებული გვექნეს. შენ, როგორც პენსიონერს, ძროხის მოღენა შორიდან არ მოგიწიოს. კოლმეურნეობაში არსებობს რუკები და სხვა დოკუმენტები, სადაც ყველა ტერიტორიის საზღვარი და მიწის ოდენობაა აღნიშნული. თუკი ხელმძღვანელობა ჩაერევა საქმეში, გაირკვევა მტყუანი და მართალი.

შოთა ლითოდიანი,

სოფ. ზედა ლუხვანო.

სიტყვა - საქმიანი

ბაზარს ცეცხლი ეკიდება მთელი საქართველო რომ დაი-რო, გზებზე, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, ქალაქებში რა სასურსათო საქონელს არ ნახავ, სამრეწველო საქონლის ზედმეტად, მაგრამ საოცარი და მიუწვდომელი ფასები ადევს. ამას მივყავით, მაგრამ რატომ არავინ ფიქრობს საქონლის ხარისხზე. კოოპერატივები, არაფერი იშვებოდა და ჰქონდა გა-იყიდებას იმედით მდარე ხარისხის საქონელს გაუგონარ ფასებს ადებენ.

ახლა საკოლმეურნეო ბაზრებში შევიხედოთ. დახლები სა-ვსება, ხილ-ბოსტნეულის მთები დგას, მაგრამ მხოლოდ ჭიბჭი-ლებსთვის. არც ჩვენი ქალაქის პაწია ბა-ზარი ჩამორჩება ფასებით. ჩა-

მორჩება კი არა, მთელს რესპუბლიკაში არსად ისე ძვირი არ არის პამიდორი, კიტრი, ბადრი-ჯანი და სხვა ბოსტნეული, როგორც ჩვენთან.

დღეს სინდისის ქეჩნის იმედი არავისგან გვაქვს, უბრალო პამიდორს, კილოს 7 მანეთად ყი-დიან, კი ბატონო, მისი მოწეუ-ლია და როგორც უნდა ისე გა-ყიდოს, მაგრამ თითოეული ცაგერელი დაგვემოწმება, რომ პამიდორს გემო არაფრისა აქვს, შიგნით სულ მწვანეა, ან გარე-დან სანახევროდ მკვანე.

ბაზრის სპეციალური სამსახური იმით მაინც დაინტერესდეს, მაქსიმალურად შემოსული პამიდორი ნიტრატებით არ იყოს სავსე. დავიჯეროთ, თუნდაც ერთი გაშუქდული გაუბრუნე-ბიათ ამ მოტივით უკან!

